

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -
ქონების მართვის სააგენტო



სატენდერო დოკუმენტაცია

საოფისე მანქანა-დანადგარების, აღჭურვილობისა და საკანცელარიო ნივთების შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით (აუქციონის გარეშე)

CPV - 30100000

2017 წელი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის	3
2. ტექნიკური დოკუმენტაცია	4
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	6
4. დანართი #1 -----	11
5. დანართი #2-----	12

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის:

1.1 ელექტრონული შესყიდვა ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდგომში - სისტემა) მეშვეობით.

1.2 სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

1.3 გამარტივებული ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.4 სადავო საკითხების გადაწყვეტისას უცხოურენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს შემსყიდველი ორგანიზაცია.

1.5 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.6 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.7 იმ შემთხვევაში თუ სატენდერო დოკუმენტაციაში შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღწერისას გამოყენებული იქნება სასაქონლო ნიშანი, მოდელი, პატენტი ან მწარმოებელი კომპანია, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული ტერმინები გამოყენებული არის „მსგავსისა“ და „ექვივალენტურის“ მნიშვნელობით და პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ტექნიკური დოკუმენტაციით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მსგავსი ან ექვივალენტური მახასიათებლების მქონე საქონელი/მომსახურება. ამასთან, ტექნიკურ დავალებაში მოცემული პარამეტრები არის შემსყიდველის მიერ დადგენილი მინიმალური მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული საქონელი.-

1.8 ტენდერისთვის სტატუსის „ტენდერი გამოცხადებულია“ მინიჭებიდან სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებამდე არაუგვიანეს 24 საათისა, სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებულ ნებისმიერ მომხმარებელს უფლება აქვს, შემსყიდველ ორგანიზაციას, სისტემაში არსებული „კითხვა-პასუხის“ მოდულის მეშვეობით, მოსთხოვოს სატენდერო პირობების კონკრეტული ჩანაწერის განმარტება.

1.9 **სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს:** ეკატერინე კაპანაძე, ტელ. ნომერი: 2 378 752. მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7

2. ტექნიკური დოკუმენტაცია:

2.1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

1.1 შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა და ტექნიკური პარამეტრები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №2-ში.

2.2 პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

2.2.1 რეკვიზიტები დანართი #1-ის მიხედვით და სატენდერო წინადადების ფასი, წარმოშობის ქვეყანა, მწარმოებელი კომპანია და მარკა/მოდელი, დანართი #2-ის მიხედვით. **(ფასების ცხრილის წარმოდგენლობა დაზუსტებას არ დაექვემდებარება და გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას)**

შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა და ტექნიკური პარამეტრები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №2-ში.

2.3 დაფინანსების წყარო და ანგარიშსწორების პირობები:

დაფინანსების წყაროს წარმოადგენს 2017 წლის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს საკუთარი შემოსავლები.

2.3.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.

2.3.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, ამასთან სახელშეკრულებო თანხა შეიძლება დაკორექტირდეს ფაქტობრივად მოწოდებული პროდუქციის შესაბამისად.

2.3.3 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.3.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

2.3.5 *სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-11 მუხლის 21 პუნქტის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტმა შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით, პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით და სასაქონლო ზედნადებით (ანგარიშფაქტურა), რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე-11-მე-14 პუნქტებით განსაზღვრული წესები.*

2.4 მიწოდების პირობები და ვადები:

2.4.1 მომსახურების გაწევის ადგილია ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7, მე-5 სართული.

2.4.2 წინამდებარე მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

2.4.3 საკანცელარიო საქონელი უნდა იყოს ქარხნულ შეფუთვაში, დამცავი ელემენტების ჩათვლით. იმ შემთხვევაში, თუ საქონელი გამოდგება უხარისხო/ ქარხნული წუნით ან სხვა მიზეზით ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი ფუნქციის შესრულებას, მოთხოვნიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა ჩანაცვლებულ უნდა იქნას ახალი ნივთით; შემოთავაზებული პროდუქცია უნდა იყოს მაღალი ხარისხის, უნდა აკმაყოფილებდეს თითოეული სახეობებისათვის ინდივიდუალურად წაყენებულ სტანდარტულ მოთხოვნებს და არ უნდა იწვევდეს სამუშაო პროცესების შეფერხებას. კალკულატორებზე უნდა ვრცელდებოდეს მინიმუმ 1 (ერთი) წლიანი საგარანტიო ვადა. რომლის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს წუნდებული საქონლის შეკეთება ან შეცვლა.

2.3 შესყიდვის ობიექტის ნიმუში:

2.3.1 ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი ვალდებულია აღნიშნულ ტენდერზე წინადადების მიღების დასრულების შემდეგ არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ნიმუშის წარმოდგენა თითოეულ პოზიციაზე.

2.3.2 პრეტენდენტმა ნიმუში უნდა წარმოადგინოს შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქ. N7, მე-5 სართული.

2.3.3 პრეტენდენტის მიერ წარდგენილი შესყიდვის ობიექტის ნიმუში დაზუსტებას არ ექვემდებარება. პრეტენდენტს შესყიდვის ობიექტის ნიმუში დაუბრუნდება ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, ამ უკანასკნელის მოთხოვნისთანავე.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. თბილისი

2017 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი ---- სახით და მეორეს მხრივ „-----“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი ---- სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №2-ით გათვალისწინებული საქონლის სახელმწიფო შესყიდვა.

2.2 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (აუქციონის გარეშე), განცხადების ნომერი -

2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ----- ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.

2.4 კლასიფიკატორის კოდი:30100000.

2.5 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერიდან ----- -მდე/ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, დანართი №2-ში განსაზღვრული ჯერადობებისა და რაოდენობების შესაბამისად.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი ან/და გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის (ინსპექტირების) განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით, გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა.

5.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განხორციელებს ქალაქი თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მთავარი სპეციალისტი _____.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.4 პუნქტში მითითებული პირი).

6.2 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება 2017 წლის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს საკუთარი სახსრებით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო- დღის განმავლობაში.

7.3 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელზე დაკისრებული ჯარიმის ანაზღაურებამდე, შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. ამ შემთხვევაში, ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამის ანგარიშზე ჯარიმის გადახდის შემდეგ.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას.

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით. ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,5%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.3 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით, ხოლო თუ გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია მიმწოდებელს საბანკო გარანტია ჩამოერთმევა სრულად.

8.4 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვეში.

8.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.6 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო, ჩასარიცხი თანხის 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

9.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში, შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყერების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად, გადასახდელ თანხაზე ფორს-მაჟორის შემთხვევაში, გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.

10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობის და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.4 იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია

შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩათვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისათვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე, მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

12.2 მიმწოდებელს არა აქვს უფლება მხარეთა (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი) წერილობითი შეთანხმების გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12.3 უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

13. ღირებულება

13.1 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.

13.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

13.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

13.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

14. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

14.1 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.

14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზე, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.

15.2 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

15.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. სხვა პირობები

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

16.4 „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომრებაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი. 16.5 „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარსს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

17. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

1	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება	
2	ხელმძღვანელის თანამდებობა, სახელი და გვარი	
3	პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი	
4	საიდენტიფიკაციო კოდი	
5	ბანკის კოდი	
6	ანგარიშის ნომერი	
7	პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი	
8	ელექტრონული მისამართი	

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი _____

დანართი #2

ფასების ცხრილი

შენიშვნა: მომსახურების ღირებულება წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა თანამდევი ხარჯისა და გადასახადის, მათ შორის დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	წარმოშობის ქვეყანა, მწარმოებელი კომპანია, მარკა/მოდელი	CPV კოდი	რაოდენობა/გაწოდების ვადები	პარამეტრები და ტექნიკური დეტალები	ერთეულის ფასი ლარში	საერთო ღირებულება ლარში
1	საწერი კალამი ლურჯი		30192121	350 ცალი	ლილაკის გარეშე, ბურთულიანი 0.7 წვერით		
2	საწერი კალამი წითელი		30192121	30 ცალი	ლილაკის გარეშე, ბურთულიანი 0.7 წვერით		
3	საწერი კალამი შავი		30192121	30 ცალი	ლილაკის გარეშე, ბურთულიანი 0.7 წვერით		
4	საწერი კალამი ტუმის ლურჯი		30192121	100 ცალი	თხევადი მელნიანი (ტუშ-პასტა) უმაღლესი		

					ხარისხის, ვერცხლისფერი კორპუსით, ხელმოსაწერად		
5	საწერი კალამი ტუშის წითელი		30192121	20 ცალი	თხევადი მელნიანი (ტუშ-პასტა) უმაღლესი ხარისხის, ვერცხლისფერი კორპუსით,		
6	ფანქარი		30192130	120 ცალი	საშლელიანი		
7	კორექტორი ფუნჯით		30192160	40 ცალი	ფუნჯით, ბლანტი სითხით, არა წყალწყალა		
8	კორექტორი კალამი		30192930	30 ცალი	მეტალის წვერით		
9	კორექტორი ლენტა- როლერი		30192910	10 ცალი	ზომა: 5მმX6მ		
10	მარკერი ტექსტის მოსანიშნი		30192125	100 ცალი	სხვადასხვა ფერის (წითელი, ლურჯი, ფოსფორისფერი, მწვანე და სხვა)		
11	საშლელი		30192100	30 ცალი	არ უნდა ტოვებდეს წაშლისას შავ ლაქას ფურცელზე		

12	სათლელი		30192133	10 ცალი	არანაკლებ ორი სხვადასხვა ზომის სათლელი განყოფილებით, ბასრი.		
13	კლიპსი 19მმ		30197100	480 ცალი	ნახევარი მეტალის და ნახევარი პლასტმასის		
14	კლიფსი 25 მმ		30197100	480 ცალი	ნახევარი მეტალის და ნახევარი პლასტმასის		
15	კლიფსი 32მმ		30197100	480 ცალი	ნახევარი მეტალის და ნახევარი პლასტმასის		
16	სტეპლერი		30197320	20 ცალი	მყარი მეტალისგან დამზადებული		
17	ანტისტეპლერი		30197321	20 ცალი	მყარი მეტალისგან დამზადებული		
18	სტეპლერის ტყვია 24/6		30197110	100 შეკვრა	მყარი მეტალისგან დამზადებული		
19	სტეპლერის ტყვია #10		30197110	50 შეკვრა	მყარი მეტალისგან დამზადებული		

20	სტეპლერის ტყვია 23/10		30197110	50 შეკვრა	მყარი მეტალისგან დამზადებული		
21	საკანცელარიო დანა		30192000	30 ცალი	საშუალო ზომის, ბასრი		
22	ჩასანიშნი ქაღალდი ფერადი (კუბიკი)		30196200	100 ცალი	სხვადასხვა ფერის და ფორმის		
23	წებოვანი ჩასანიშნი		30196200	180 ცალი	სხვადასხვა ფერის და ფორმის		
24	პლასტიკური სწრაფჩამკერი		30197210	400 ცალი			
25	პლასტიკური სწრაფჩამკერი რეზინის დამჭერით		30197210	150 ცალი			
26	პლასტიკური სწრაფჩამკერი კნოპკით		30197210	20 ცალი			
27	შტამპი		30192153	3 ცალი	პლასტმასის, ოთხკუთხედი ერთი დიდი, 2 პატარა. თვითშემელნადი მექანიზმით.		

28	საკანცელარიო თარო სამგანყოფილებიანი მეტალის		30193200	5 ცალი	მეტალის ბადის, შვი ფერის		
29	მაკრატელი		30192000	10 ცალი	საშუალო ზომის, ბასრი		
30	წებო მშრალი		30192000	25 ცალი			
31	კალენდარი 2017 წლის		30199792	15 ცალი	2017 წლის, კედლის, ზამბარაზე აკინძული, თითო გვერდზე სამი თვის მანიშნებელი		
32	დაფის მაგნიტი		30195921	30 ცალი	კომპლექტში არანაკლებ 6 ცალი, სხვადასხვა ფერი		
33	დაფის მარკერი სხვადასხვა ფერის		30192125	20 ცალი	წყლის საფუძველზე		
34	დაფის საშლელი		30192100	5 ცალი	მაგნიტური სამაგრიტ		
35	CD მარკერი		30192125	30 ცალი			
36	CD-ის ჩასადები		30199230	100 ცალი	ქალაქის, CD დისკისთვის,		

					გაუმჭვირვალე		
37	ბეჭდის მელანი		30192110	4 ცალი	ლურჯი, 60 მლ-იანი		
38	სახვრეტელა		30197330	5 ცალი	30 ფურცლის გასახვრეტად		
39	კალკულატორი		30141000	4 ცალი	12 სიმბოლოიანი, ზომა: არანაკლებ 18 სმX12სმ, (ერთწლიანი გარანტიით);		
40	სკოჩი დიდი		30192000	30 ცალი	გამჭირვალე, , სიგანე 48მმ. სიგრძე 40მმ		
41	სკოჩი პატარა		30192000	20 ცალი	გამჭირვალე, სიგანე არანაკლებ 12მმ, სიგრძე 20მ		
42	სტეპლერი პატარა		30197320	5 ცალი	მეტალის მყარი მექანიზმით, 8-10 ფურცლისთვის		
43	საქაღალდე დაფა		30192000	10 ცალი			
44	ასაკინძი ფურცლების ყდა		30192000	200 ცალი	A3, პლასტიკური, შეკვრა 100 ცალი		

	გამჭირვალე						
45	ასაკინძი ფურცლების გაუმჭირვალე	ყდა	30192000	200 ცალი	A3, პლასტიკური, შეკვრა 100 ცალი		
46	კონვერტი ა3		30199230	800 ცალი	ქალაღდის, თვითწებგადი		
47	კონვერტი ა4		30199230	1000 ცალი	ქალაღდის, თვითწებგადი		
48	კონვერტი ა5		30199230	400 ცალი	ქალაღდის, თვითწებგადი		
49	ასაკინძი წხირები		30192700	100 (50 დიდი; 50 პატარა) ცალი			
50	ასაკინძი ზამზარები		30192700	100 ცალი - 20 ფურცლიანი; 100 ცალი - 100 ფურცლიანი; 100 ცალი - 100 ფურცელზე ზევით	პლასტმასის		
51	ურნა		30192000	5 ცალი	მეტალის ბადის, შაგი ფერის		

52	საკანცელარიო ბეჭედი		30192153	2 ცალი	პლასტმასის, მრგვალი, თვითშემელნადი მექანიზმით.		
53	საბეჭდი ქაღალდი A3		30197630	5 შეკვრა	გრამაჟი (გრ/მ2) 78- 82, სისქე (um) -104- 110, სითეთრე CIE არანაკლებ 148, გაუმჭირვალობა - არანაკლებ 94%, სიკაშკაშე არანაკლებ - 98%, ზედაპირის ხაოიანობა ml/min ორივე მხრიდან არაუმეტეს 150, 1 შეკვრა 500 ფურცელი, ქარხნული შეფუთვით.		
ჯამი:							

პროტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი _____